LADO BEROZA
ლადო ბეროზა



ლადო ბეროზა 2000 წლიდან ცხოვრობს ბერლინში. 2010 წელს დაამთავრა ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტი და 2010–2011 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის მაისტერშულერი. 2010 წელს მიიღო “DAAD”–ეს სტიპენდია. ცხოვრობს და მუშაობს ბერლინში.

12 წლის შემდეგ მისთვის საქართველოში დაბრუნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ–ერთ საგამოფენო სივრცეში საზოგადოებასთან შეხვედრით აღინიშნა. სპეციალურად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გამოფენისთვის მხატვარმა თბილისში იმუშავა. ლადო ბეროზაშვილის დიდი ობიექტები და რელიეფები მონუმენტურია. ექსპოზიციის მშვიდი, სადა რიტმი, კიდე უფრო ამძაფრებს ამ თვისებებს, ნამუშევრების მასის და ენერგიის ძალას. აბსტრაქტულ რელიეფებში თითქოს კოსმიური სივრცეების მონაკვეთებია და ამ სიბრტყეებზე გრავიტაციადარღვეული ნაწილაკების, მატერიებისა და სხეულების უსისტემო მოძრაობის, რაღაცის ჩამოშლის, განახლების, მუდმივი ცვლისა და განმეორების, რაღაცის გადაგვარების ანდა ახალ ფორმად ქმნადობის შთაბეჭდილება რჩება. ლადო ბეროზასთვის ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო და ყველაზე ძვირფასია გარემოს დაკვირვება და ამ გარემოში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების გარკვეული მონაკვეთების ანალიზის გამოტანა. ყველაფერი რასაც სკულპტურებში გამოსახავს იმიტირებული და განვითარებულია რეალურად ბუნებაში არსებული სხეულების ფორმების მიხედვით. პროცესი, რომელსაც მის სკულპტურებსა და რელიეფებში ფორმები განიცდიან კი ასევე ჩვენს გარემოში არსებული მოძრაობისა და დინამიკის მისეული გამეორებაა, ოღონდაც ისე რომ თითქოს ამ პროცესს გამადიდებელი მინითა და მიკროსკოპით აკვირდება. ანელებს მოძრაობას და უცვლის მასშტაბს.

სივრცეში გაშლითა და უწონობის ეფექტით გამოირჩევა ზოგიერთი წარმოდგენილი ობიექტი. შავი მილებისა და მიწის ბელტების ქსელით. ეს მოტივი მეორდება ექსპოზიციის ბოლო ნაწილშიც, სადაც მთელი ექსპოზიცია სიმძიმის ძალას იკრებს. აქ მსუფთქი და მასიური მოცულობების მონაცვლეობაა: მიწაზე გართხმული, შავით დაფარული ორგანიზმებისმაგვარი და ვერტიკალური მასების კონტრასტია. ფორმები რომლებიც ჯერ ისევ რაღაც სტრუქტურებს გავს მაგრამ უკვე ახალ სუბსტანციებად გარდაიქმნებიან.

ლადო ბეროზას ინსტალაციები არ არის მხოლოდ კომფლიქტი უდროობასა და მატერიის ამორფულობას, მუდმივ გარდაქმნას შორის. და არც მხოლოდ ბუნებასა და ახალ რეალობებს შორის...

ლადო ბეროზას გამოფენა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია იქნება საქართველოსა და გერმანიის კულტურული დიალოგის ფარგლებში და მეტად საინტერესო მოვლენა თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი

პროფ. დავით ლორთქიფანიძე

Since 2000 Lado Beroza lives in Berlin. In 2012, he graduated Berlin University of Fine Arts and in 2010-2011 he was meisterschüler at the same university. In 2010 he was awarded DAAD scholarship. He lives and works in Berlin.

His return to Georgia after 12 years of absence was marked by the meeting with the audience in one of the exhibition halls of Georgian National Museum. For the exhibition at Georgian National Museum the artist specially worked in Tbilisi. For Lado Berozashvili large objects and reliefs are of monumental nature. Calm, smooth rhythm of the exposition makes these properties even more prominent, increasing the mass and energy of his work. It seems that the abstract reliefs have captured cosmic space creating impression of the irregular movement of the particles, materia and bodies with distorted gravitation, collapse of something, renovation, perpetual changing and repeating, degradation of something or transformation into the new forms. At this stage, the most interesting and precious thing is observation over the environment and analysis of certain segments of the natural processes ongoing in this environment. All, expressed in his sculptures, is imitation and development of the forms of bodies actually existing in the nature. Process to which the shapes in his sculptures and reliefs are subjected are his own rendering if the movements and dynamics of our environment so that it seems that he observes this process through magnifying glass and microscope, decelerates the movement and changes its scale.

Some presented objects are distinguished with the effect of spatial expansion and weightlessness with the texture of black pipes and soil clods. This motif repeats in the final parts of the exposition as well, where the entire exposition accumulates the gravity force. Here of the light and solid volumes are interlaced. Here is the contrast of organism-like masses spread over the soil, covered with black and the vertical ones. The shapes, which still look like some structures but they have already transformed into the new substances.

Lado Beroza’s installations comprise not only the conflict between lack of time and amorphic nature of the matter, permanent transformations and not only between the nature and new realities.

Lado Beroza’s personal exhibition will take a step forward the cultural relations of Georgia and Germany as well as will be one more interesting project for broad public interested into the contemporary art.

Georgian Nation Museum

Director General , Prof. Dr. David Lordkipanidze

გლეძაუთ

თანამედროვე ხელოვნების თეორეტიკოსები უახლეს ტენდენციად რადიკალური მატერიალიზმის პერიოდის დადგომას ასახელებენ. 2006 წელს გამოქვეყნებულ წერილში, „უკვდავი სხეულები“, ბორის გროისი წერს, რომ თანამედროვე მხატვრები ხშირად ეძებენ ისეთ სახეებს, რომლებიც წმინდა მატერიალურობის ხატებად შეიძლება წარმოგვიდგნენ. არადა, კულტურული ტრადიცია ასეთია: სულის უკვდავების მთავარი თემის საპირისპიროდ ხელოვნება თუ სრულ იგნორირებას არ უკეთებდა ფიზიკური სხეულების არსებობას, მათ მეორეხარისხოვნებასა და წარმავალობას მაინც ხაზგასმულად აჩვენებდა; დღეისთვის კი მატერიის ფაქტორის მიმართ ერთგვარი კომპენსაციაა სახეზე. შესამჩნევია ვიზუალური კვლევების სიუხვეც და კვლევები სხეულის, გვამის, ხორცის, მისი ხრწნადობისა თუ მრავალგვარი ტრანსფორმაციის შესახებ, ზუსტად ამ თემის აქტუალურობაზე მეტყველებს. ხელოვანები დღეს თითქოს ცდილობენ მატერიის ჯერ დაუფასებელი და ამოუცნობი სტრუქტურა შეიცნონ, რომელიც არც ისე ადვილად გაქრობადი და წარმავალია, როგორც ამაზე კულტურული სტერეოტიპები მეტყველებდნენ. „პოტენციურად ხრწნის პროცესი უსასრულოა _ ვერ იტყვი, ზუსტად როდის დასრულდება ხრწნა, რამდენადაც ნაშთების იდენტიფიცირება ყოველთვის შეიძლება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი იდენტიფიცირება შეუძლებელი ხდება, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ სხეული საბოლოოდ გაქრა; საქმე მხოლოდ ისაა, რომ მისი შემადგენელი ელემენტები: მოლეკულები, ატომები ისეთ ძლიერ დაშლას განიცდიან გარემოში, რომ სხეული პრაქტიკულად ერწყმის სამყაროს მთლიანობას, ან თუნდაც გადაიქცევა „სხეულად ორგანოების გარეშე“ (დელიოზი)... სულის უკვდავება იცვლება ახალი, უკვდავების სხვა ტიპით..“ (ბ. გროისი. „უკვდავი სხეულები“).

სწორედ მატერიის ტრანსცენდენციის ერთ–ერთი ვერსიის ნახვის შესაძლებლობა ჰქონდა ქართველ დამთვალიერებელს ლადო ბეროზაშვილის მიერ წარმოდგენილ ექსპოზიციაზე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ლადო ბეროზაშვილი ქართველი მხატვარია, რომელიც 2002 წლიდან გერმანიაში ცხოვრობს და წელს პირველად წარდგა საქართველოში სოლო გამოფენით. ის ჯერ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ ბერლინის სახელოვნებო სასწავლებელში, მოგვიანებით პოლიტოლოგია–სოციოლოგიის ფაკულტეტზე ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში და ბოლოს დაამთავრა ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტი. მუშაობს სხვადასხვა მედიაში და მისი ნამუშევრებიც მატერიის ბუნების შეცნობის პროცესის ამსახველი ექსპერიმენტებია. მის ინსტალაციებში ხშირად შეხვდებით აბსტრაგირებულ მასიურ ფორმებს, რომლებშიც ხელშესახებია მიწიერი ნაყოფიერების მატარებელი „სიმძიმე“. ეს მასები არქაული პერიოდის სკულპტურული ფორმების თემასაც ეხება და თიხა–მიწასთან გაუცნობიერებელ შერწყმას და ერთიანობას.
















ლადო ბეროზას ეპიკური მასშტაბების ექსპოზიციას სახელწოდებით — BLACKOUT — საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დროებითი საგამოფენო დარბაზების საკმაოდ დიდი სივრცე დაეთმო. დიდ სივრცესთან მხატვარს პრობლემა არ ჰქონია, პირიქით, მან ინსტალაციის ფორმატის ფლობის მაღალი პროფესიონალური ხარისხი აჩვენა. ფერწერულ–ფაქტურული მხატვრობისა და სკულპტურის აბსტრაქტული ფორმები შავი ფერის დომინაციით განსაზღვრავდა გამოფენის შემტევ ფსიქოლოგიურ ხასიათს, რომელიც ამავე დროს არ იყო დამთრგუნველი და ერთგვარად დამაინტრიგებელ მოგზაურობას გთავაზობდათ პირობითად არქაული სამყაროს მოდელში, სადაც მხოლოდ ამ სამყაროს ფორმირებისთვის განსაზღვრულ მასალას ხედავდით და არავითარ კონკრეტულ პროგნოზს. ლადო ბეროზას ერთ—ერთი საყვარელი თემაა ტრანსფორმაციაში მყოფი მასალის მდგომარეობა დააფიქსიროს, რომელიც სპეციფიური ზედაპირებითა და მასის განცდით იწვევენ ემოციას მხილველში. გამოფენამ ერთ მთლიანობად გააზრებული ნამუშევარი აჩვენა, განაწილებული სამ პირობითად გამოყოფილ სივრცეში. ექსპოზიციის დასაწყისი ყველაზე ვრცელი დარბაზი იყო დიდი ზომის სურათებითა და მასიური ბიომორფული ქანდაკებებით (ინსტალაციის ერთი კომპონენტი დარბაზს გარეთ, აივანზეც იყო გატანილი და დაკეტილი კარის მინებს მიღმა ავრცელებდა ნამუშევრის ფართობს); შემდეგ გადიოდით გარდამავალ „დერეფანში“, რომელიც ზომიერად ემოციური იყო საშუალო ზომის სურათებითა და ინსტალაციაში მოულოდნელი თეთრი აქცენტის ჩართვით და ბოლო კულმინაციურ მომენტს განსაკუთრებით ექსპრესიული ფინალი შეადგენდა — ბოლო დარბაზი თითქმის მთლიანად იყო „გაჭედილი“ კედლებზე მიყრდნობილი მკვეთრად უსწორმასწორო ზედაპირიანი „მორებით.“









ლადო ბეროზას თბილისური დებიუტი ამ ეფექტური პროექტით აღინიშნა, ის მხატვრის მთავარი საკვლევი თემის გაგრძელებაა, რომელიც მატერიის ბუნებასა და მისი გარდასახვის მრავალ ვარიაციას ეხება. ლადო ბეროზა გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს და ხსენებული გამოფენით პირველად გაეცნო თბილისურ აუდიტორიას. შესაძლოა გამოფენა პოლიტიკურად აქტიურ სეზონს დაემთხვა და ისეთი გამოხმაურება არ ჰქონია, როგორსაც ჩემი აზრით იმსახურებდა, მაგრამ ხელოვნებით დაინტერესებულთა წრეებში ის აღინიშნა, როგორც ერთ—ერთი საინტერესო ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროექტთაგან. ისიც უნდა ითქვას, რომ ეროვნული მუზეუმის მხრიდან დასაფასებელი ინიციატივაა თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესება და სივრცის დათმობა ახალგაზრდა ხელოვანების არტისტული ექსპერიმენტებისათვის. იმედია, ეს ტრადიციად იქცევა.

მხატვრის პორტფოლიო საკმაოდ შთამბეჭდავად გამოყურება და აქ წარმოდგენილი ნამუშევრებით მისი მთავარი ინტერესის განსაზღვრაც შეიძლება, — ის განსაკუთრებით ფაქტურული სკულპტურული ფორმების ირგვლივ ტრიალებს. აქ ნახავთ ერთგვაროვანი მასის ფორმებსაც და უფრო გართულებულ ჰიბრიდებსაც მრავალი შემადგენელით. ნამუშევრების სრულ კოლექციას ალბათ ზოგადი სახელი — ტრანსფორმაციებიც (სხვადასხვაგვარი) შეგვიძლია ვუწოდოთ და ასოციაციებით არქაული ცნობიერების სიშორიდან თანამედროვე სუბკულტურების ოკულტურ სიმბოლიკამდე ვიმოგზაუროთ. მიწის დიდი ბელტების ფორმები, რომლებიც პირველ რიგში მასიურობის შეგრძნებითა და მიწის სიმბოლიკის დატვირთული შრეებით მოქმედებენ, ზოგადად მატერიის ბუნების შეცნობის პროცესისკენ უბიძგებენ საგამოფენო დარბაზში მიმსვლელს.









თანამედროვე ხელოვნების ეს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მატერიის კვლევით არის დაკავებული, ბორის გროისის სიტყვებით „მეტყველებს რადიკალური მატერიალიზმის ერის დადგომაზე, ჰეტერომეტანოიისა და გვამის ფილოსოფიისა.. თუმცა, შესაძლებლობა ხელოვნების ნიმუში აღქმული იყოს არა ალეგორიის ფორმით, არამედ როგორც სიმბოლო, არცერთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული. სწორედ ამის გამო თანამედროვე ხელოვნება აგრძელებს იპოვოს ისეთი სახეები, რომლებიც წმინდა მატერიალურობის ხატებად გამოდგებიან...“ ამ გაგებით „წმინდა მატერიალურობის ხატები“ ლადო ბეროზაშვილის ნამუშევრებში მხოლოდ სიმბოლოებად არ განიხილება. მათი ხაზგასმული მატერიალურობა თავისთავად გულისხმობს იმ სივრცესაც, სადაც ადგილი რჩება ფსიქოლოგიური რეაქციებისათვის. როცა ამ ნამუშევრებს აკვირდებით, განსაკუთრებით იმ ექსპოზიციას, სადაც ეს მასები კედლებზე ჰკიდია, ან ვერსიას, სადაც ამორფული „მძიმე“ მასები საკმაოდ წვრილ „ტოტებზეა“ დახუნძლული, თქვენ გექმნებათ კონტრასტული ველი მატერიის დამთრგუნველი წონისა და ამავე დროს ლევიტაციური განზომილებისა, რაც ასევე ამბივალენტურ ფსიქოლოგიურ განწყობას იწვევს.









პირველ რიგში მისი ინსტალაციები ფსიქოლოგიური დატვირთვისაა და იმ ფორმებითა და ფაქტურებით ხდება მანიპულირება, რაც ცნობიერების საკმაოდ გრძნობიერ წერტილებს ეხება. კვლავ „მიწის ბელტებს“ რომ დავუბრუნდეთ, აქ უტრირებულად არის წარმოდგენილი მიწიერი ნაყოფიერების მატარებელი „სიმძიმე,“უხეშად და ძლიერად მოზელილი ფორმა მიუხედავად იმისა, რომ რეალურად საკმაოდ მსუბუქი სინთეტური მასალით არის დამზადებული—სანტექნიკური ქაფის ბაზა მხოლოდ ზედაპირზეა დაფარული მიწით, სიმძიმის ილუზია მაინც ძირითადი განმსაზღვრელია. ეს მასები არქაული პერიოდის სკულპტურული ფორმების თემასაც ეხება, თიხა—მიწასთან გაუცნობიერებელ შერწყმასა და ერთიანობას. თუ თანამედროვე კულტურაში ის აქტუალური ინფორმაციის მატარებელია, ამ ინფორმაციის წასაკითხად მას პრეზენტაციის განსაკუთრებული ფორმა სჭირდება. ლადო ბეროზაშვილი ამ მასებს კედელზე „მსუბუქად“ მიმაგრებულად აჩვენებს, თითქოს ისინი კოსმოსში მოძრავი უცხო სხეულები არიან.

ქრისტიანული მხატვრობის ტრადიცია მატერიასთან მიმართებაში არაორაზროვანია, — ქრისტეს ვნებების სცენა რაც არ უნდა ოსტატურად გამოხატავდეს სხეულს, მუდმივად თან ატარებს მატერიის უმნიშვნელობის იდეას, რომლის ფონზეც ყოვლისმომცველი სულის ზეიმი ბატონობს. მოდერნისტულმა ტრადიციამ კი რა თქმა უნდა, ამ კატეგორიულობასთან კრიტიკული და ზოგჯერ აგრესიული პოლემიკა დაიწყო. ლადო ბეროზაშვილის ნამუშევარი, რომელიც ამ დისკურსის ჭრილში შეიძლება განვიხილოთ, წვრილი მილებით აგებული ხის ტოტების მსგავს კონსტრუქციაზე ჩამოკიდებული მასებია, ერთი შეხედვით მსგავსი უკვე აღწერილი მიწის ნაჭრებისა, თუმცა ამჯერად განსხვავებული ფაქტურული დამუშავებით, ეს ზედაპირები ერთდროულად ქსოვილის ნაოჭებსაც ჰგავს და ხორცის დიდ ნაგლეჯებსაც, მთლიანად დაფარულია შავი საღებავით. მატერიის თემა, მისი სიმძიმე კვლავ უტრირებულია და ამჯერად სიმძიმისგან გაღუნული ტოტების ეფექტით მიიღწევა. დრამატიზმი, რასაც ეს ნამუშევარი ატარებს წარმავალობის, მატერიის საზღვრული ბუნების, მოწყვლადობის მტკივნეული განცდაა, თუმცა მეტაფორულ ხორცზე განხორციელებული აგრესიის გარდუვალობა და ტრაგიზმის ჩვენება აქ საბოლოო მიზნად არ გამოიყურება.



























მეტალის ჩონჩხზე ჩამოწელილი ფორმები თითქოს ტრანსფორმაციის პროცესს გადიან, ისინი რაღაც ახალ, ჯერ გაურკვეველ სხვა ფორმას ქმნიან. მსგავსივე მასები უფრო ფიზიოლოგიური მდგომარეობისაა ნამუშევარში, სადაც შუშის დიპტიქის თითოეულ ნაწილზე რალიეფურად ამოსული არადიფერენცირებული ფორმებია. სინთეტურ მასალას (ქაფი) აქ ფისი, მიწა და ორგანული ქსოვილიც ემატება საყასბოს პროდუქციიდან — საქონლის ყურები (!)... ეს უკანასკნელი თითქოს ირონიული ჩანართიცაა სხვადასხვა რიტუალურ სუბკულტურების სიმბოლიკაზე და ამავე დროს ამ კომპოზიციის ფიზიოლოგიურ თემას უკეთებს უტრირებას.











ასევე უტრირებულია „გ ოთიკის“ მოტივი ძველი ხის დაფაზე დრაპირებულ ბალიშზე, რომელიც ასევე შავი საღებავით არის დაფარული და ქათმის ფეხებია აქვს ჩართული, — ეს ერთგვარი აბსტრაგირებული „ღერბი“ ტრანსფორმაციის პროცესის, ფაქტურებისა და ორგანულ მასალებში მყოფი ენერგიებისა და ინფორმაციის ნაკრების სახით სურათის ფორმატიდან ამოსული სკულპტურების ფორმებით ბიომორფული ალუზიებია იმ პროცესებზე, რომლებიც ბუნებაში არსებული კანონზომიერებით თავისთავად იქმნებიან და მიმდინარეობენ, ხოლო ადამიანურმა კულტურამ შეიძლება ამ პროცესში საკამოდ არაპროგნოზირებადი დეტალები შეიტანოს.














ნამუშევრის შემადგენელი ელემენტების შიდა ურთიერთობები დაფარული და ამოუცნობია გარე აღქმისთვის, ისინი უბრალოდ მიანიშნებენ მასში მიმდინარე პროცესზე, რომლის უმეტესი ნაწილი რაციონალური არ არის.. მისი ნამუშევრები ექსპონირებისას დიდ თავისუფალ სივრცეს ითხოვს, რაც მინიმალისტური ნამუშევრებისთვის არის სახასიათო და რომლის კომენტირებაც იმ მიმართულებით შეიძლება, რომ მატერიის ბუნებისა და მისი ტრანსფორმაციის თემა არ არის მარტივად ამოწურვადი და კვლევისა და ინტერპრეტაციის კიდევ მრავალ შესაძლებლობას ატარებს.
















მატერია–მიწა/თიხა/ხორცი — ნამუშევრების ერთი თემაა, მეორე ხაზი მატერია–სხეულის მიმართულებით ვითარდება. შავი ფერის სერიისგან გასხვავებით, სადაც ტრანსფორმაციები მონსტრული ხასიათის ფორმებად ვითარდებიან და დრამის ფორმატში ფორმდებიან, ეს სერია კონტრასტულად ნათელი ფერისაა, — სხეულისა და თეთრეულის, ბალიშის ფაქტურა თითქმის ერთგვაროვანია. აქ არის ბალიშის ფორმის სკულპტურები და უზომოდ წაგრძელებული ქვედა კიდურებიანი ერთგვაროვანი თოჯინების ჯგუფი. ერთ კომპოზიციაში თავდაყირა დამდგარი უთავო ტორსი თავით ბალიშს უერთდება და ერთ ფორმად არის ქცეული. შავი სერიის „გოთიკის“ ესთეტიკისგან განსხვავებით, ეს უფრო მატერიის ირონიული ხედვაა და ინფანტილიზმის მდგომარეობას ეხება, სადაც სხეული და ბალიში ჩვილი ბავშვის ფაქტურის ასოციაციებს იწვევს.

ლადო ბეროზაშვილის ხელოვნება სუბიექტური მსოფლხედველობა და ასეთივე თხრობაა.. აქ ჰეტეროგენული ფორმებს შეხვდებით, სადაც სხვადასხვა კულტურული კოდები, მნიშვნელობები, მითების ვიზუალური ვერსიები შეიძლება წავიკითხოთ და მრავალგვარი ახსნა მოვუძებნოთ.

ხათუნა ხაბულიანი
2012 წელი







კატალოგი მომზადებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და
აიპ. კულტურის კვლევისა და კოორდინირების ცენტრის მიერ.

ფოტო: გურამ წიბახაშვილი
ტექსტი: ხათუნა ხაბულიანი

პროექტის მხარდამჭერები:
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ქ.თბილისის მერიის კულტურული პროგრამების ცენტრი

დაიბეჭდა გერმანიაში,
LAZERLINE
ბერლინი, 2012